წერილის ნომერი:**31-31263031**
თარიღი: **30/10/2026**

ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ნინო მშვიდობაძის 2025 წლის 30 ოქტომბრიდან დღეის მდგომარეობით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენის

ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

ადმინისტრაციული ერთეული: გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი ჯუნეწერი

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 26. 10. 2026 წელი 18:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნო განყოფილების უფროსი) **ნიკოლოზ კოზანაშვილი**, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ია ბარამიძე** და ადგილობრივი მოსახლეობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი **ნინო მშვიდობაძე**, შეხვდა გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის, სოფელ ჯუნეწრის მოსახლეობას. ანგარიშის წარდგენამდე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა მათ მობრძანებისთვის, აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი - საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარება.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის თანახმად საკრებულოს წევრმა ნინო მშვიდობაძემ წარმოადგინა 2025 წლის 30 ოქტომბრიდან დღემდე მის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. მან აღნიშნა, რომ უფლებამოსილებას შეუდგა 2025 წ. 30 ოქტომბერს. არის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე ასევე საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი. დეპუტატმა აღნიშნა, რომ ყოველღიურ რეჟიმში უწევს მოსახლეობასთან შეხვედრა და მათი პრობლემური საკითხების განხილვა, რომლის გაჟღერებაც ხდება ფრაქციასა და საკრებულოს სხდომებზე.

ნინო მშვიდობაძემ აღნიშნა, რომ გაზრდილია მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დაახლოებით 65 მილიონამდეა გაზრდილი, რითაც არაერთი პროექტი ხორციელდება, რომელიც თითოეულ მოქალაქეზეა მორგებული. ეს ეხება როგორც სოციალურ, ისე ინფრასტრუქტურულ პროექტებს. რამდენიმე მათგანზე გაამახვილა ყურადღება - სოციალური პროგრამა, რომლის საერთო ბიუჯეტია 1 მილიონ 855 000 ლარი, რაც

შეეხება ინფრასტრუქტურულ პროგრამებს, ხორციელდება არაერთი პროექტი, როგორც სპორტული კუთხით, ასევე სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები: მაჩხვარეთის, ჩოჩხათის, ღრმაღელის, ჩიბათის, ქალაქის, სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში ხელოვნურსაფარიანი მინი სტადიონების მშენებლობა-საერთო ღირებულებით 980 529 ლარი.

ნიგოითის, მაჩხვარეთი, ჩოჩხათის, ნიგვზიანის, ღრმაღელის, ნინოშვილის, ქალაქის და ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზიანებული დამცავი კედლებისა და ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოები - 2711 026 ლარი.

სტიქიის შედეგად დაზიანებული გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია საერთო ღირებულებით 5 მილიონ 037 807 ლარი.

რამდენიმე სკოლას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, რამდენიმეს უნდა ჩაუტარდეს. გაკეთდა შიდა გზები. ნინო მშვიდობაძის თქმით მოეწყო სასაფლაოსკენ მისასვლელი გზა, ასევე ჯაბელში გადასასვლელი გზა.

ადგილობრივმა ნუგზარ ცეცხლაძემ ითხოვა მის საცხოვრებელთან გზის მოხრეშვა და სანიაღვრის გაკეთება, სადაც პატარა აღმართია და წვიმის დროს ჭირს გადაადგილება. ადგილობრივმა ნანა თედორაძემ აღნიშნა, რომ მის სახლთან პატარა მონაკვეთი დარჩა მოსახრეში. გია ფირცხალაიშვილის სახლთან გასაკეთებელია გარე განათება.

დასასრულს, ნინო მშვიდობაძემ მადლობა გადაუხადა მათ მობრძანებისთვის.

პატივისცემით,

ნინო მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს წევრი